ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 5

ქ. ონი 18 მაისი 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

სხდომას 11 წევრიდან ესწრებოდა 10 წევრი: სერგო ლობჯანიძე, ვასილი მეტრეველი, ლევან ორდინიძე, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე, ნოდარ ბურდილაძე, თამაზ მეტრეველი.

არ ესწრებოდა : ზურაბ ბენდიანიშვილი

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნ. ბურდილაძემ, თ. მეტრეველმა. მათ ისაუბრეს მუნიციპალიტეტში I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების კუთხით არსებულ ხარვეზებზე, იმ პრობლემებსა და მიზეზებზე, რამაც გამოიწვია i კვარტალში ბიუჯეტის შესრულების დაბალი მაჩვენებელი .

ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ i კვარტალში ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი არასახარბიელოა, რაც გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზებითაა გამოწვეული. თითოეული თეთრი, რომელსაც სახელმწიფო გამოყოფს მუნიციპალიტეტისათვის უნდა დაიხარჯოს მიზანმიმართულად, ყაირათიანად და მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით. საკრებულოსა და მერიის ერთობლივი მუშაობა, შესაბამისი სამსახურების მეტი ძალისხმევა და მაღალი პასუხისმგებლობაა საჭირო, რომ მომავალი კვარტლის გეგმა სათანადოდ შესრულდეს და მოსახლეობის ინტერესებიც შესაბამისად იქნეს ასახული და გატარებული.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სერგო ლობჯანიძე

კომისიის თავმჯდომარე